

„ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება - ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით”

სამიზნე ჯგუფი: ტრენინგი განკუთვნილია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული სკოლების მასწავლებელთა და სპეციალურ მასწავლებელთათვის.

ხანგრძლივობა და დროში განაწილება: ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობა 21 საკონტაქტო საათი და 5 დამოუკიდებელი მუშაობის საათია. სულ 26 საათს. რაც წარმოადგენს 1 კრედიტ-ქულას.

ხანგრძლივობა გულისხმობს 5-დან 5 ½ საათიან სამუშაო დღეს. ტრენინგის პირველი ორი დღის შემდეგ საჭიროა, რამდენიმე დღიანი შუალედი, რათა მონაწილე მასწავლებელს ჰქონდეს დრო ტრენინგის დავალების სკოლაში/კლასში შესასრულებლად.

დამსწრეთა რაოდენობა : 20 მსმენელი

ადამიანური რესურსი : შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები). მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრენინგი ჩატარდეს წყვილში.

ტრენინგ-მოდულის მიზანი: ტრენინგის მიზანია მასწავლებლის მომზადება, რათა შეძლონ ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით შეძლონ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული რისკის შემცირებაში წვლილის შეტანა: ნებისმიერი შესაძლებლობის მოსწავლეს ასწავლონ შესაბამის სიტუაციაში მოქმედების წესები; დაადგინონ, განსაზღვრონ სპეციალური მხარდაჭერის ან მომსახურების საჭიროება და იმუშაონ მის უზრუნველსაყოფად; ჩატარონ რეგულარული სიმულაციები მოსწავლეებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევის გამოსამუშავებლად; მოამზადონ საჭირო მასალა საგანგებო სიტუაციისათვის.